



08.02.2013

გადასახლების მოლოდინში

შეუერთდი განხილვას

80 წელიწადზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც მდინარე რიონის აუზში გაშენებული სოფლის, ქვემო ონჭეიშის მცხოვრებლებმა პირველად გაიგეს, რომ რიონზე, მათი კარმიდამოს ადგილას, ჰიდროელექტროსადგურის აშენება იგეგმებოდა. ნამახვანის ჰესი - ასე დაერქმეოდა კაშხალს, რომელსაც საბჭოთა საქართველოს ელექტრომომარაგების საქმეში განსაკუთრებული წვლილი უნდა შეეტანა.

"მახსოვს, სკოლაში ვსწავლობდი, ქალაქიდან რომ გვესტუმრნენ სპეციალისტები. აღწერაზე იყვნენ, გარემოს სწავლობდნენ. ადგილობრივებსაც შეხვდნენ, ბოლოს ჩემს ლეკვთან ერთად ფოტო გადამიღეს", - იხსენებს ქვემო ონჭეიშელი, თეიმურაზ მანაგაძე და ამბობს, რომ მაშინ პირველად გაიგო, მის ოჯახსა და თანასოფლელებს, დაგეგმილი მშენებლობის გამო, სხვაგან გადასახლება რომ მოუწევდათ.

თეიმურაზ მანაგაძე ახლა 57 წლისაა, მაგრამ იმ ადგილას, სადაც ჰესის აშენება მის ბავშვობაში დაიგეგმა, ჯერაც ხელუხლებელია პატარა სოფელი, ქვემო ონჭეიში. მშენებლობა ათწლეულების შემდეგაც არ დაწყებულა. სწორედ ამიტომ ყველაზე მეტად, რაც ამ სოფელში იგრძნობა, ადგილობრივების მოლოდინია: თეიმურაზ მანაგაძე დიდ სახლს იმიტომ ვერ აშენებს, რომ ჰესის მშენებლობის ემინია - ვაითუ, ერთ დღეს მართლაც დაიწყონ კაშხლის შენება, ჩვენ გასახლებაში მოვყვით და შრომაც წყალში ჩამეყაროსო.

[video:<http://www.youtube.com/watch?v=doORAW2QzzI>]

ნამახვანის კაშხლის აშენების იდეა მას შემდეგ გაჩნდა, რაც საბჭოთა ენერგეტიკოსებმა

მდინარე რიონის ელექტროენერჯის წარმოებისთვის გამოყენება დაიწყო. თუმცა მშენებლობის დაწყება რამდენჯერმე შეფერხდა. ბოლოს კაშხლის იდეა დღის წესრიგიდან 1990-იანი წლების დასაწყისში მოიხსნა, როცა ორგანიზაცია "მწვანეებისა" და მათი ლიდერის, ზურაბ ჟვანიას კამპანიის შედეგად, ხელისუფლებამ დიდი კაშხლების, მათ შორის ხუდონჰესისა და ნამახვანის ჰესების აშენებაზე უარი თქვა. ამის შემდეგ ეს თემა მთელი 1990-იანი წლების განმავლობაში - მწვავე ენერგეტიკული კრიზისის პერიოდშიც კი - აღარ წამოწეულა.

2008 წელს კი საქართველოს ხელისუფლებამ ახალი ენერგეტიკული სტრატეგია დასახა და დიდი ენერგოჰესებით მსხვილი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა გადაწყვიტა. გამოქვეყნდა იმ 80 მცირე და საშუალო პოტენციური სადგურის ნუსხა, რომელთა აშენებასაც სახელმწიფო ინვესტორებს სთავაზობდა. სწორედ ამ კონტექსტში, თითქმის ათწლიანი დუმის შემდეგ, კვლავ განახლდა სამ მასშტაბურ ენერგოპროექტზე საუბარი. ეს იყო ხუდონის ჰესი და ონისა და ნამახვანის ჰესების კასკადი.

[video:<http://www.youtube.com/watch?v=2CGqA1mmJG4>]

ნამახვანში სამი 450-მეგავატიანი ჰესის მშენებლობის წინადადებით ორი წლის წინ თურქული კომპანიების ჯგუფი Nurol Energy Production and Marketing Inc. და SK E&C დაინტერესდა. დღეს სწორედ მათი გეგმების გამო ეუბნებიან რიონის ნაპირზე გაშენებული სოფლების მოსახლეებს, რომ მშობლიური კარ-მიდამოდან აყრა ახლა უკვე დანამდვილებით მოუწევთ.

პროექტის დამტკიცების შემთხვევაში, თურქები სამი კაშხლის აშენებას გეგმავენ - ტვიშის, ნამახვანისა და ჟონეთის. მათი აშენება კი ქვემო ონჭეიშის სრულ და დანარჩენი სოფლების ნაწილობრივ დატბორვას გამოიწვევს. ის ადგილი, სადაც თემურ მანაგაძეს პატარა ხის სახლი და ერთგანყოფილებიანი სურსათის მაღაზია უდგას, წყლით მთლიანად დაიფარება. იგივე ემუქრება თითქმის ყველა მის მეზობელს - 35 ოჯახს. მთელ ამ ტერიტორიაზე, მშენებლობის დაწყების შემდეგ, ხეებიც გაიჩეხება და სახლებიც დაინგრევა.

სოფლიდან აყრის პერსპექტივა რიონისპირა სოფლების ზოგ მცხოვრებს ერთადერთ გამოსავლად მიაჩნია. მაგალითად, სოფელ ჟონეთის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც რიონთან ახლოს ცხოვრობს, ყოველი გაზაფხულის მოსვლას შიშით ელოდება, რადგან ადიდებული მდინარე მათ კარ-მიდამოს ტბორავს. ამიტომ იმედი აქვთ, რომ კაშხლის პროექტის გამო კარგ კომპენსაციას მიიღებენ და უკეთეს ადგილას გადასახლდებიან.

თუმცა, არიან ისეთებიც, რომლებიც ამ პროექტს კატეგორიულად უპირისპირდებიან, მაგრამ წინააღმდეგობის გაწევას არ აპირებენ. „ჩემი სიტყვა რას შველის, თუ სახელმწიფომ ასე გადაწყვიტა“, - ამბობს გადასახლების აზრს ბავშვობიდან შეჩვეული

მანაგაძე.

მას ყველაზე მეტად შექმნილ სიტუაციაში გაურკვეველობა აფრთხობს. გასახლების თითქმის მუდმივი პერსპექტივის მიუხედავად, იქაურებისთვის ნათლად არასდროს განუმარტავთ, თუ სად გაასახლებდნენ და როდის. თუმცა, ბოლოს სოფლის მცხოვრებლებს გამგებელმა აცნობა, რომ ქუთაისის გამგეობაში ნამახვანის ჰესის შესახებ საჯარო განხილვა გაიმართება. განხილვას კომპანიის წარმომადგენლებიც დაესწრებიან და ადგილობრივების კითხვებს გასცემენ პასუხს.

ირმა სულაძე სოფელ ნამახვანში ცხოვრობს და დათქმულ დღეს საჯარო განხილვაზე დასასწრებად კონკრეტული პასუხების მოსმენის იმედით მიდის. მან დაგეგმილი შეხვედრის შესახებ თითქმის შემთხვევით, ორგანიზაცია "მწვანე ალტერნატივის" წარმომადგენლისგან - დავით ჭიპაშვილისგან - შეიტყო. არც მისი სოფლის და არც სოფელ მექვენის მოსახლეობა გამგებელს წინასწარ არ გაუფრთხილებია.

ირმა სულაძე კაშხლის აშენებისა და გასახლების წინააღმდეგია მიუხედავად იმისა, რომ სახლი 5 წლის წინ ხანძარში დაეწვა და ორ შვილთან ერთად ახლა ერთოთახიან ფარდულში ცხოვრობს: „აქ ჩემი მამა-პაპის სახლია. აწი როდის იქნება, მე რომ სხვა სოფელში წავალ, ხეებს დავრგავ და ის მომესწრება?!“ - ამბობს ირმა სულაძე.

ინვესტორი კომპანიისთვის ადგილობრივების მსგავსი განწყობები, მეტ-ნაკლებად უკვე ცნობილია. თურქულმა მხარემ 2010 წელს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესადგენად კვლევა ჩაატარა. ამ დოკუმენტის თანახმად, გამოკითხული მოსახლეობის 82.7 პროცენტისთვის კომპენსაციის ყველაზე ხელსაყრელი ფორმა ნაღდი ფულია. კომპენსაციის არც ერთი ფორმა კი მისაღები არ არის მხოლოდ 1.3 პროცენტისთვის.

კვლევის თანახმად, კიდევ ერთი მოლოდინი, რაც 80 წლის განმავლობაში გადასახლების რეჟიმში მცხოვრებ მოსახლეობას აქვს, დასაქმებაა. მაგალითად, სოფელ ალპანაში მცხოვრებ 50 წლის ზაურ ფრუიძეს იმედი აქვს, რომ პროექტის დაწყების შემდეგ, დასაქმდება.

„ადგილობრივი, ლეჩხუმელები უნდა დასაქმდნენ და არა სხვები. მოიყვანონ თავიანთი ინჟინრები, მაგრამ ჩვენ შავ მუშად მაინც აგვიყვანონ. თუმცა, დღეში 10 ლარად არავინ იმუშავებს“, - ამბობს ის და საჯარო განხილვაზე წასვლას აპირებს.

ქუთაისის გამგეობის შენობაში, 10 ივნისს შეკრებილ 60-მდე ადამიანს ყველაზე მეტად კომპენსაციისა და დასაქმების თემები აინტერესებს.

[video:<http://www.youtube.com/watch?v=Ffk9KFzB7tA&feature=related>]

მრგვალი მაგიდის გარშემო მსხდომი ენერგეტიკის სამინისტროსა და ინვესტორი კომპანიის წარმომადგენლები კი სხდომას ეკოლოგიურ საკითხებზე მსჯელობით იწყებენ. თურქი ბიოლოგი ნილაი აუგიუნეი აუდიტორიას ინგლისურ ენაზე აცნობს გარემოსდაცვითი საკონსულტაციო ფირმა „ენკონის“ ანგარიშს გარემოზე ზემოქმედების შესახებ. კარგი თარგმანის მიუხედავად, მისი სპეციფიკური ტერმინებით გადატვირთული მსჯელობა ადგილობრივებისთვის მაინც გაუგებარი რჩება, ზოგი მთქნარებას იწყებს და მრგვალი მაგიდის გარშემო შეკრებილებს არც უსმენს, ზოგი დარბაზიდან გასასვლელად ემზადება.

ფლორა და ფაუნა, მათი ჰაბიტატები, ჰაერში გამოტყორცნილი ბგერების ჰერცებში გამოთვლილი რაოდენობა, რიხტერის შკალით დათვლილი სეისმური და გეოლოგიური საშიშროება - მოსახლეობას განხილვაზე ამ საკითხებს აცნობენ მაშინ, როცა კომპენსაციების ოდენობასა და გადასახლების სავარაუდო ადგილმდებარეობის შესახებ კითხვებზე არც ინვესტორს და არც სახელმწიფოს წარმომადგენლებს პასუხი არ აქვთ.

„ჩემი მოლოდინი, როგორც მოსახლის, არის ის, რომ საშველი დაადგეს ჩემს სახლს. რომელიც მოუვლელობის გამო, წლების განმავლობაში ღვება. ვერ გავიგე, გავარემონტო ეს სახლი თუ ახალი ავაშენო. სადარდებელია ის, რომ ბუნებაში ცვლილებები მოხდება, მაგრამ მაინტერესებს, კონკრეტულად როდის მივა ვინმე მოსახლეობასთან და როდის აღუწერენ სახლს“, - აცხადებს ერთი ქალბატონი კითხვა-პასუხის დაწყების შემდეგ.
[pagebreak]

ნამახვანელი ირმა სულამე კი შეხვედრის ამ ნაწილს არც ელოდება, დარბაზიდან ისე გადის. „რა პასუხს ველოდო? ეკოლოგიაზე ლაპარაკობენ და სოფელზე საერთოდ არ უსაუბრიათ. ყველაფერი ეს უშედეგოა“, - აღნიშნავს ის.

„რაც არ უნდა ბევრი ასეთი შეხვედრა ჩავატაროთ, ინდივიდი კონკრეტულ პასუხს ასეთი შეხვედრიდან ვერ მიიღებს,“ - ასე ეხმაურება მოსახლეობის უკმაყოფილებას საჯარო განხილვის ერთ-ერთი მონაწილე, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილე, მარიამ ვალიშვილი, - „ასეთი თემებისთვის ლოკალური შეხვედრები უნდა მოეწყოს ინვესტორსა და მოსახლეობასთან, რომელზეც ინდივიდუალურად გადაწყდება კომპენსაციის საკითხები“.

საჯარო განხილვები მოსახლეობის მონაწილეობით, მსხვილი საინვესტიციო პროექტების განვითარების ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად ითვლება. მსგავს შეხვედრებზე კომპანიის წარმომადგენლები, რომელთა პროექტის გამოც ლოკალური მოსახლეობის ცხოვრება რადიკალურად უნდა შეიცვალოს, კითხვებს პასუხობენ და ადგილობრივებს გეგმებს აცნობენ. ისეც ხდება ხოლმე, რომ ესა თუ ის პროექტი, სწორედ გარემოზე გავლენის გამო, მოსახლეობის აქტიური პროტესტის დამსახურებით ჩერდება და

ინვესტორსაც უკან დახევა უწევს. თუმცა ასეთი რამ თითქმის არ ხდება საქართველოში, სადაც თითქმის არც ერთი მსგავსი, მსხვილი პროექტის განხორციელების პროცესში, ადგილობრივებს თავიანთი თავი გადაწყვეტილების მიმღებ მნიშვნელოვან ფიგურად არ წარმოუდგენიათ. ამის ნაცვლად, ისინი თითქმის ყოველთვის დინების მიყოლას არჩევენ. ნამახვანის პროექტის შემთხვევაშიც, რიონისპირა სოფლების მცხოვრებლების პოზიცია თითქმის ერთნაირია - ისინი ფიქრობენ, რომ ჰესის აშენებას წინააღმდეგობას მაინც ვერ გაუწევენ და ამიტომ ამჯობინებენ, მოცემულ მომენტში სახელმწიფოსა და ინვესტორისგან მაქსიმალური ხეირი მაინც ნახონ - მაღალი კომპენსაციის სახით.

მოსახლეობის მორჩილება, ერთი მხრივ, მოსალოდნელიცაა. უკიდურესი გაჭირვება და ამის გამო გამოწვეული მიგრაცია - სოფლების დაცარიელება, უმუშევრობა და ადგილობრივი მოსახლეობის დაბერება - ეს ის პრობლემებია, რომელთა გამოც ადგილობრივებს უჭირთ, საკუთარ საცხოვრებელ გარემოზე ზემოქმედების შესაძლო საფრთხეები გააცნობიერონ და შემდეგ ამ საფრთხეების თავიდან ასაცილებლად სახელმწიფოსა და ინვესტორ კომპანიას ზომების მიღებაც მოსთხოვონ. ბევრი მათგანი "ლიბერალთან" საუბარში იმასაც ამბობს, რომ საჯარო განხილვას ერთი მიზეზით ვერ ესწრება - ქუთაისამდე ჩასასვლელი ავტობუსის ფული არ აქვს.

არადა, ნამახვანის ჰესების აშენების გამო გარემოზე პოტენციური ზიანი საკმაოდ დიდია. პროექტის ტერიტორიაზე გავრცელებული ფლორისა და ფაუნის ნაწილი როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო წითელ ნუსხაში შედის. გარდა ამისა, ტვიშის კაშხლიდან დაახლოებით 100 მეტრში, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის მიერ შემოთავაზებული სარეზერვო ტერიტორიებიდან დატბორვა ემუქრება ხვამლის სატყეო კვარტალს. ამიტომ ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენლების თქმით, პროექტი ამ ნაკრძალის მიკროკლიმატზეც მოახდენს გავლენას.

სწორედ ამიტომაც მნიშვნელოვანი საკუთარ საცხოვრებელ გარემოზე ზრუნვაში ადგილობრივებიც ჩაერთონ. ამისთვის კი აუცილებელია, საჯარო განხილვები მოსახლეობისთვის გასაგებ ენაზე, მარტივი ტერმინოლოგიით ტარდებოდეს. ასე არ მოხდა, ნამახვანის პროექტის განხილვისას. ქუთაისის გამგეობიდან გამოსული მოქალაქეების ნაწილმა შეხვედრის დასრულების შემდეგ ისიც კი ვერ გაიგო, რომ წარმოდგენილი 1000-გვერდიანი ანგარიშის თემა სწორედ მათ საცხოვრებელ გარემოს ეხებოდა.

„როგორც წესი, ანგარიშების გარდა, მზადდება ე.წ. „არატექნიკური რეზიუმეც“, რომლის დანიშნულებაცაა, ინფორმაცია მიაწოდოს არასპეციალისტებს, ანუ მოქალაქეებს, რომელთაც არ გააჩნიათ სპეციფიკური ცოდნა, - განმარტავს ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ ანალიტიკოსი, ქეთი გუჯარაიძე, - ქუთაისში 10 ივნისს გამართული შეხვედრა კი იმის მაგალითი იყო, რომ არც მოსახლეობა იყო ინფორმირებული და არც

პროექტის მხარდამჭერები იყვნენ მომზადებული მოსახლეობისთვის საინტერესო საკითხებზე პასუხის გასაცემად".

ქეთი გუჯარაიძე ამბობს იმასაც, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში (გზმ) ადგილობრივი მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი თითქმის არ ყოფილა. ეს მნიშვნელოვანი დოკუმენტი გავრცელდა მხოლოდ თბილისში, რაიონულ ცენტრებში და გამოქვეყნდა ინტერნეტით. რიონისპირა სოფლებში მცხოვრები ადამიანები კი, რომელთაც ხშირად ცენტრამდე ჩასასვლელად ტრანსპორტის საფასურის გადახდაც უჭირთ, რომ აღარაფერი ვთქვათ ინტერნეტის ხელმისაწვდომობაზე, ამ დოკუმენტს არ გაცნობიან.

ამ ფონზე, სავარაუდოდ, ერთადერთი თემა, რისი გადაჭრაც თურქულ კომპანიას ნამახვანის კასკადის აშენების პროცესში მოუწევს, ადგილობრივების კომპენსაციაა და არა პროექტის ისე დაგეგმვა, რომ გარემოზე პოტენციური ზიანი საგრძნობლად შეამციროს. მით უფრო, რომ გარემოს დაცვა - ეს ის თემაა, რომელსაც სახელმწიფოსა და ინვესტორისთვისაც, როგორც წესი, ეკონომიკური აღმავლობის პერსპექტივა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის დაპირება იოლად სწონის.

ქართული ენერგობაზარი

საქართველოს მთავრობამ 2008 წელს ქვეყნის ენერგეტიკის სფეროში ახალი კონცეფცია შეიმუშავა - „განახლებადი ენერჯია 2008" და ინვესტორებს 80-მდე მცირე და სამი დიდი ჰესის სია შესთავაზა - საშუალო სიმძლავრით 100 მეგავატი. ტენდერზე გასატანად გამზადდა სამი დიდი პროექტი: ხუდონჰესის, ნამახვანის ჰესებისა და ონის ჰესების კასკადები. მათი ჯამური სიმძლავრე 1,500 მეგავატია.

ეს სია იმ პოტენციურ ჰესებს შეიცავს, რომელთა აგებაც საქართველოში ნებისმიერ დაინტერესებულ ინვესტორს შეუძლია. მთავრობა ბიზნესმენებს ურთიერთობის ახალ პრინციპსაც სთავაზობს. ამ პრინციპს, რომელიც საერთაშორისო ბაზარზეა აღიარებული და ძირითადად სწორედ ენერგოსექტორში იყენებენ, BOO: Build-Operate-Own ჰქვია. მის თანახმად, ინვესტორს ეძლევა ჰესების როგორც აშენების, ისე ოპერირებისა და ფლობის საშუალება.


სახელმწიფოსა და დაინტერესებულ ინვესტორს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმი ფორმდება. ამ დოკუმენტის მიხედვით, ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ, ყოველწლიურად, 9 თვის განმავლობაში ინვესტორს ეძლევა სრული თავისუფლება, წარმოებული ელექტროენერჯიის ბაზარი თვითონ აირჩიოს. თუმცა, სახელმწიფოსთან ინდივიდუალურად შეთანხმების საფუძველზე ირჩევს იმ დარჩენილ

3 თვესაც, როცა ელექტროენერჯის სრული ოდენობა მხოლოდ საქართველოს შიდა მოხმარების ბაზარზე უნდა გაიტანოს. ამ 3 თვის განმავლობაში მის მიერ გაყიდულ ელექტროენერჯიაზე საქართველოს კანონმდებლობის მიერ დარეგულირებული ტარიფი გავრცელდება.

ურთიერთგაგების მემორანდუმი 10 წლის განმავლობაში მოქმედებს. 10 წლის შემდეგ, ინვესტორი ჰესს სახელმწიფოს უბრუნებს.

საქართველოს ენერგოსექტორში ინვესტიციის ჩადების სურვილი ბოლოს თურქულმა კომპანიამ Ozguclu Energy-მ გამოთქვა. ინვესტორი აჭარაში, ქედის რაიონში, მდინარე აკავრეთაზე, მერისის ჰესის აშენებით დაინტერესდა. Ozguclu Energy-იმ განაცხადი ჰესის მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების მიზნით, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში უკვე შეიტანა. ამავე პრინციპით ააშენებს ჰესებს ის თურქული კომპანიაც, რომელიც ნამახვანის კასკადით დაინტერესდა.

2008 წლის შემდეგ ზემოთ აღნიშნული სიიდან მთავრობამ ზოგი ამოიღო, ზოგი - დაამატა. 2011 წლის 3 ივნისის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანების თანახმად კი, სახელმწიფო ინვესტორებს კვლავაც სთავაზობს 57 საშუალო და მცირე ჰესის აშენებას.



Add a comment...

Post to Facebook

Posting as Natalia Ksovreli (Change)

Comment

Facebook social plugin

